14 მაისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა,
1961 წელი
№ 58 (1694)
გამოცემის
მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

ჩვენი ორმოცი გაზაფხული
მძლავრად გუგუნებს,
მზის შუქ-ნათელში
დიდ მწვერვალად
ალვიმართენით
და, ძმებთან ერთად,
კომუნიზმის სჭედს საუკუნეს
თავისუფალი, ბედნიერი
ხალხი ქართველი.

ჩვენი ძვირფასი სტუმარი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ყურადღებით გაეცნო რესპუბლიკის ცხოვრებას, დაათვალიერა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, სადაც გაეცნო რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს.

სურათზე: ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმება ოლიმპიურ ჩემპიონს რ. შავლაყაძეს. შუაში დგას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ი. ქადაგიძე.

ფოტო კ. კრიმსკისა.



## მშვიდობის ველორბოლა

მშვიდობის XIV ველორბოლის მონაწილეებმა უკვე გაიარეს ტრასის სამი მეოთხედი და როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში ლიდერობას კვლავ საბჭოთა სპორტსმენები ინარჩუნებენ. თუ პირადში VI და VII ეტაპებზე გამარჯვება წილად ხვდათ რუმინელ კოსმასა და გერმანელ ჰაგენს, VIII ეტაპზე (ბერლინი-ლეიპციგი) კვლავ აშკარა იყო ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა უპირატესობა. ამ ეტაპის გმირმა — ჩერეპოვიჩმა მთელი ერთი წუთით მოუგო პოლონელ გაზდას, ხოლო გუნდმა 1 წუთითა და 5 წამით სძლია მეორე ადგილზე გამოსულ პოლონეთის კოლექტივს.

ლეიპციგ-კარლ-მარქს-შტადტის ეტაპი ორად იყო გაყოფილი, შუალედებიანი სტარტით დისტანციის ნახევარზე უძლიერესნი იყვნენ პეტროვი, გელიხოვი და საიდხუჟინი. მეორე ნახევრის გავლა ყველაზე ადრე შეჯიბრების ლიდერმა მელიხოვმა შეძლო. იგი პირველი შევიდა კარლ-მარქს-შტადტში. ახლა იგი მეორე ადგილზე მყოფ თანაგუნდელ კაპიტანოვს უგებს 7 წუთს. თითქმის ასეთივე სხვაობაა გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა და პოლონელ სპორტსმენთა შორის.

# ზეიმობს ქართველი ხალხი

დაუვიწყარ დღეებს განიცდის ქართველი ხალხი, იგი დღესასწაულობს თავისი აღორძინების ორმოცწლს.

განსაკუთრებით სასიხარულოა სახალხო ზეიმი იმის გამო, რომ დღესასწაულზე ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. სადღესასწაულოდ მორთულია თბილისის სპორტის სასახლის შესანიშნავი შენობა. სცენის სიღრმეშია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდი ბიუსტი, აქვეა ალისფერი დროშები და რესპუბლიკის გერბები, ჰაღქვეშ წარწერაა რუსულ და ქართულ ენებზე „დიდება სკკპ“.

სხდომის დაწყებამდე სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, ძველი ბოლშევიკები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, არმიის მეომრები,

დილის 10 საათია. საზეიმო სხდომის მონაწილენი ხანგრძლივ ოვაციას მართავენ, როცა პრეზიდიუმში შემოდიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, საქართველოს კომპარტიის და მთავრობის ხელმძღვანელები, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციების მეთაურები.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჰავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ვ. შინკუბა, რ. მ. კომახიძე, მინისტრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, წარმოების მოწინავენი და სხვები.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების დელეგაციების ხელმძღვანელები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ. ვ. პ. მჟავანაძე გახსნილად აცხადებს საიუბილეო საზეიმო სხდომას.

ზეიმურად ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი დიდი ერთსულოვნებითა და აღფრთოვანებით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მოხსენებისათვის „საქართველოს სს რესპუბლიკის და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წელი“ სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს.

საზეიმო სხდომის მონაწილეთა სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის და მოიპოვებენ ახალ-ახალ წარმატებებს დიადი შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

დარბაზი მხურვალედ უკრავს ტაშს, როცა ტრიბუნაზე ადის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, მისი ვრცელი და მკაფიო სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არა ერთხელ აწყვეტინებდნენ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით. შეკრებილნი აგრეთვე მქუხარე ოვაციით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წაიკითხა თავისი სიტყვის დასასრულს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგურმა გადასცა.

დამსწრენი დიდი გულითადობით ეგებებიან მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელების გამოსვლებს.

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ნორჩი ლენინელები.

უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით მიიღეს საიუბილეო სხდომის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ, მან მადლობა გადაუხადა სხდომაზე გამოსულთ გულთბილი მილოცვისათვის, იმისათვის, რომ წარმატებები უსურვეს ქართველ ხალხს, და საზეიმო საიუბილეო სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სპორტის სასახლის გუმბათქვეშ გაისმა პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ დიდებული მელოდია, ჰიმნს ფეხზე ამდგარნი ასრულებენ სხდომის მონაწილენი.

* * *

გუშინ, თბილისში საზეიმოდ მორთულ „ბურევესტნიკის“ სტადიონზე მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი და არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

დასასრულ მოეწყო სპორტსმენთა მასობრივი გამოსვლები, მხატვრული განყოფილება, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული კინოსა და ესტრადის გამოჩენილი ოსტატები.

# გაკეთდა 33 სვლა... მიხეილ ბოტვინიკმა კვლავ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინი

**მსოფლიო პირველობაზე მატჩ-ტურნირი XXI პარტიის შემდეგ დამთავრდა. 33-ე სვლის შემდეგ მ. ტალმა თავი დამარცხებულად სცნო და გამარჯვება მ. ბოტვინიკს მიულოცა. ანგარიში გახდა 13:8 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. მატჩ-რევანში შეწყდა.**





ქადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლა ყოველთვის აღელვებდა სპორტის მოყვარულებს, მაგრამ მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის ორთაბრძოლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, იგი გადაიქცა „XX საუკუნის მატჩად", როგორც თქვა გროსმაისტერმა მ. ეივემ.

მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის პირველი შეხვედრა დამთავრდა ჭაბუკი გროსმაისტერის გამარჯვებით — 12,5:8,5 და ზოგიერთმა ჟურნალისტმა ნაადრევად „დაასამარა" მ. ბოტვინიკი, მაგრამ მატჩ-რევანშში მ. ბოტვინიკმა დაიბრუნა შარშან დაკარგული ჩემპიონობა.

ვინც იცნობს მ. ბოტვინიკის შემოქმედებით გზას, ძნელი არ იქნება ჩაწვდეს მისი გამარჯვების საიდუმლოებაში. მან ღრმად გააანალიზა პირველი მატჩის პარტიები, გამოააშკარავა თავისი თამაშის ძირითადი ნაკლოვანებანი (ცუდი ფიზიკური მომზადება, პრაქტიკის ნაკლებობა და სხვ.) და მთელი წელი იმუშავა მათ აღმოსაფხვრელად. იგი მთელი ზამთარი განუწყვეტლივ ვარჯიშობდა, თამაშობდა პარტიებს. მ. ბოტვინიკის მეცადინეობის გეგმა ითვალისწინებდა ყველა დეტალს. ამიტომაც მ. ბოტვინიკი „კბილებამდე" შეიარაღებული ჩაება ბრძოლაში.

რაც შეეხება მ. ტალს, მან არ მიაქცია სათანადო ყურადღება მატჩ-რევანშისათვის მ ზ ა დ ე ბ ა ს, ბევრს თამაშობდა და ნაკლებად უკვირდებოდა თავისი თამაშის ხარვეზებს. ყველაფერ ამასთან ერთად ავადმყოფობდა და მკურნალობისათვის არ ზრუნავდა. მან თამბაქოს წევაც კი დაიწყო.

როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა მატჩ-რევანშში? უკვე პირველ პარტიაში გამომჟღავნდა მ. ბოტვინიკის საუცხოო მომზადება. მან მოიგო იგი. მეორე პარტიაში მ. ტალმა აიღო რევანში, მაგრამ მოგება არ იყო დამაჯერებელი. მესამე პარტიაში გაიმარჯვა ისევ მ. ბოტვინიკმა, რის შემდეგ სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. შემდეგ მ. ბოტვინიკმა გაზარდა ანგარიში და ბრძოლამ მიაღწია კულმინაციას. მ. ტალი ცუდი ფიზიკური მომზადების გამო გაცივდა და ნაავადმყოფარმა ზედიზედ წააგო სამი პარტია. მატჩ-რევანშის ბედი გადაწყდა. მართალია, მომდევნო შეხვედრებში მ. ტალი მთელი ძალით იბრძოდა, მაგრამ მდგომარეობის შველა უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

დადის ხმები, რომ თითქოს მ. ტალის ნიჭმა გაიელვა, როგორც მეტეორმა, და ჩაქრა. ეს არ არის მართალი. ზოგიერთს მოჰყავს დ. ბრონშტეინისა და ვ. სმისლოვის მაგალითი, როცა ამ გროსმაისტერებმა მ. ბოტვინიკთან მატჩების შემდეგ ნაწილობრივ დაკარგეს თავიანთი სიძლიერე. მაგრამ ისინი მაინც რჩებიან უძლიერესთა შორის უძლიერესნი. მ. ტალი ახლა 25 წლისაა და კიდევ დიდი შემოქმედებითი გზა აქვს გასავლელი.

ამიერიდან მატჩ-რევანშები აღარ გაიმართება, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონს ამის უფლება ჩამოერთვა. 1962 წელს მოეწყობა პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მ. ტალიც. მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაცვა მოუხდება 1963 წელს პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულთან შეხვედრისას.

დ. ვერბიცკი,
მოსკოვი.

## II საერთაშორისო

მე-14 ტურში კაკაბაძემ მოუგო ტოგონიძეს, ივანოვიჩმა — ლიბერტს, ერეტოვამ — ნიკოლაუს, ზვორიკინამ — შილიეს, ასენოვა-ჩაიკოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

გუშინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება, ზვორიკინამ მოუგო ასენოვას და ყაიმით დაამთავრა პარტია ნიკოლაუსთან. ტიხომიროვამ დაამარცხა კაკაბაძე და ივანოვიჩი, ტოგონიძემ — შილიე, ლიტვინსკამ — ხუგაშვილი. ნიკოლაუ-შილიე ყაიმზე შეთანხმდნენ.

უკანასკნელი ტურის წინ გაფრინდაშვილს აქვს 11,5 ქულა, ჩაიკოვსკაიას — 10, კაკაბაძესა და ზვორიკინას — 8,5-8,5 თვითეულს. ერეტოვასა და ტიხომიროვას—8-8, ტოგონიძეს — 7,5 ქულა და ა. შ.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი,
ჩვენი სპეც კორ.

## ამხანაგური შეხვედრა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდი ხშირად აწყობს ამხანაგურ შეხვედრებს სხვადასხვა დაწესებულებების მოჭადრაკეთა გუნდებთან. ამას წინათ მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდი ნ. გაფრინდაშვილის, მ. ტოგონიძის, ა. ჩაიკოვსკაიას, მ. მანველოვას, ქ. გოგიავას, ნ. ჯანგველაძის, მ. ჩომახიძისა და ლ. წეროძის შემადგენლობით ხელოვნების მუშაკთა სახლში შეხვდა საქართველოს ხელოვნების მუშაკების მოჭადრაკეთა ნაკრებს.

შეხვედრა დამთავრდა ყაიმით — 4:4. მატჩის შედეგები ასეთია: გაფრინდაშვილი -ა.იზვოზჩიკოვი — 0:1, ტოგონიძე-მ. თხელიძე — 0,5:0,5, ჩაიკოვსკაია-ა. ურუშაძე — 0,5:0,5, მანველოვა-ს. ამიროვი — 0:1, გოგიავა-ს. რუსია — 1:0, ჯანგველაძე-დ. სლივიცკი — 1:0, ჩომახიძე-გ. ჯავახიშვილი — 0:1, წეროძე-პ. კობახიძე — 1:0.

ი. თოდრია

## ასე ვემზადებოდით მატჩისათვის

**ტელეფონთან არის მ. ბოტვინიკის მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ს. ფურმანი**

საჭადრაკო ისტორიას მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის პიროვნება შერჩა, როგორც „დაუბერებელი მოხუცის" მაგალითი. ამ გოლიათმა მოჭადრაკემ 67 წლის ასაკში მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირში 1953 წელს ისე დაიკავა მესამე ადგილი, რომ ერთი პარტიაც არ წაუგია.

ეს გენიოსი მოჭადრაკე იმიტომ გავიხსენე, რომ მ. ტალთან 1960 წელს დამარცხების შემდეგ ზოგიერთმა 49 წლის მ. ბოტვინიკი ჩამოწერილთა სიაში ჩათვალა. მაგრამ მ. ბოტვინიკს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათქვამი საბოლოო სიტყვა. აი, სწორედ ამ ვაი-კრიტიკოსებმა დათვური სამსახური გაუწიეს უდიდესი ნიჭის მქონე მ. ტალს, როცა ბოტვინიკის ძალის შეუფასებლობით მოადუნეს მისი ყურადღება.

დღეს ბევრს აზარებს მ. ბოტვინიკის შესანიშნავი წარმატება. მე, როგორც მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელს, მინდა ვთქვა, რომ ბოტვინიკის გამარჯვება სავსებით კანონზომიერია. იგი მისთვის ჩვეული სერიოზულობით მოეკიდა მატჩ-რევანშისათვის მზადებას. მან ყველაფერი გაითვალისწინა. ისიც კი, რომ ტალმა მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვების შემდეგ დაიწყო თამბაქოს წევა. მე, როგორც კარგი ორთქლმავალი კვამლის ღრუბლებში ვახვევდი ხოლმე ბოტვინიკს საწვრთნელი თამაშის დროს. ბევრი ენერგიას ანდომებდა ბოტვინიკი სწრაფი რეაქციის გამომუშავებას, რაც საჭიროა ცაიტნოტებთან საბრძოლველად.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სადებიუტო რეპერტუარის მომზადებას. ყველაზე მეტი ვიმუშავეთ ძველინდური დაცვის წინააღმდეგ სქემების დამუშავებაში. შეიძლება ტალი მიგვიხვდა და არ გამოიყენა იგი, სანამ ძალიან არ გაუჭირდა. კარო-კანის დაცვამ გაგვიმართლა იმედები.

როგორც ცნობილია, ბოტვინიკს არ ჰყავდა სეკუნდანტი, რის გამოც მას თვითონ უხდებოდა გადადებული პარტიების გარჩევა. (მე არ მქონდა დახმარების უფლება) წარმოიდგინეთ ამით ბოტვინიკი არ დაზარალებულა, რადგან თვითონ ანალიზის შესანიშნავი ოსტატია.

ყურადღება! 15 ივნისიდან გამოდის გაზეთი „ლელო"
სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით

## სადღესასწაულო საჩუქარი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის ზეიმისათვის მზადების დღეებში დედაქალაქის საწარმოო კოლექტივებმა არა ერთი გამარჯვება მოიპოვეს და ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნეს ამ თარიღს. საერთო შრომით აღმავლობას არ ჩამორჩა თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკაც. აქ ახლად მოწყობილ საამქროში უახლესი [illegible] დაამზადეს — [illegible] ქუდები მოცურავეებისათვის, საწვრთნელი კოსტუმები და სხვ. უკვე დამტკიცებულია მათი საცდელი ნიმუშები და დაიწყო მასობრივი წარმოება.

მ. ბარხუდაროვი

# რბოლა გრძელდება



გრავალდღიანმა ველორბოლამ სერიოზულად შეურყია ავტორიტეტი ერთ საკმაოდ ძველ და პოპულარულ გამოთქმას — სახლში საკუთარი კედლებიც გეხმარებაო. თბილისში მეოთხე ეტაპის ფინიშთან პირველი მივიდა ერევნელი ს. ოგანესიანი. კიროვაბადში ფინიშის ხაზი სხვებზე ადრე თბილისელმა ვ. სიკორსკიმ გადაკვეთა. სომხეთის ცნობილ კურორტში იჯევანში პირველი იყო თბილისელი ა. თავაძე. როგორც ხედავთ, ველოსიპედისტები მაინც და მაინც დიდ „კოლეგიალობას" არ იჩენენ ერთმანეთის მიმართ და როგორც წესი, ყველაზე მეტად ადგილობრივ სპორტსმენებს „სჩაგრავენ".

სხვათა შორის, ფინიშის რაოდენობის მოგების მხრივ საქართველოს წარმომადგენლები კონკურენციის გარეშე არიან. მათ 6 ეტაპის შემდეგ ხუთში გამარჯვებას მიაღწიეს, მაგრამ წააგეს ყველა საპატიო პირველი ადგილი რესპუბლიკებსა და სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის. საერთო წარმატებისათვის საჭიროა არა ერთი კაცის, არამედ მთელი გუნდის, კოლექტივის ერთნაირი თავდადება.

აი სწორედ ასეთი კოლექტიური თავდადების შესახებ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მეექვსე ეტაპის — კიროვაბად-იჯევანის ტრასის მეტი ნაწილი (დაახლოებით 100 კილომეტრამდე) აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადიოდა. და აი მასპინძლებს სწორედ ამ მონაკვეთზე გაუჭირდათ. დისტანციის რომელ მონაკვეთზე გნებავთ არ ნახავდით ჯგუფისაგან ჩამორჩენილ აზერბაიჯანელ ველოსიპედისტებს. ზოგი თვალს ცვლიდა, ზოგი მანქანას არემონტებდა სასწრაფოდ, ზოგი კი მანქანის შეცვლას ითხოვდა.

მაგრამ ისინი „უპატრონოდ" თავისიანებს არ სტოვებდნენ. ასეთ ავარიულ შემთხვევაში ჯგუფს უმალ რჩებოდნენ თანაგუნდელები და კოლექტიური, დიახ კოლექტიური, მუშაობით იოლად ეწეოდნენ წინ წასულებს. ასე მოიყვანეს დასაწყისშივე ჩამორჩენილი ა. მესროპიანი. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მარტივი, მაგრამ გონივრული ტაქტიკის ინიციატორი იყო აზერბაიჯანელთა ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტი ვ. ხემერგეი, რომელსაც კარგი შანსები აქვს პირად ჩათვლაში. მაგრამ როგორც ჩანს, მისთვის პირველყოვლისა მთავარი ყოფილა კოლექტივის ინტერესი, ხოლო შემდეგ პირადი.

თბილისელებსაც აქვთ ტაქტიკა, მაგრამ იგი უაღრესად პრიმიტიულია — ყველა იბრძვის თავისთვის, ყველას ვიწრო-ინდივიდუალური გეგმა აქვს. არავითარი ურთიერთდახმარება, არავითარი კოლეგიალობა. შედეგიც, რა თქმა უნდა, სახეზეა.

მეექვსე ეტაპი დასაწყისში არაფრით არ იყო ღირსშესანიშნავი, დიდი სიცხის გარდა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაა, რომ რბოლა დაბალი ტემპით დაიწყო. და როდესაც სამმა ველოსიპედისტმა ტ. ავაქიანმა (სომხეთი), ე. ბირიუკოვმა (საქართველო) და ვ. კოლდინმა (აზერბაიჯანი) დაიწყეს დაწინაურება, მათი ცდა ძირითადმა ჯგუფმა არასერიოზულად ჩათვალა.

განსხვავება თავდაპირველად უმნიშვნელო იყო. სპორტსმენები ხედავდნენ დაწინაურებულთ. მაგრამ მალე განსხვავებამ სახიფათო ფორმები მიიღო და ბოლოს, როდესაც სამეული ჯგუფს დაახლოებით 8 წუთით მოწყდა, ბევრმა შემდეგ ბრძოლაზე ხელი ჩაიქნია. პესიმისტთა შორის პირველები, რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც უკვე შუა დისტანციაზე შეწყვიტეს აქტიური ბრძოლა (მცირედი გამონაკლისის გარდა: ა. თავაძე, ვ. სიკორსკი, ე. იანჩევსკი).

მაგრამ ჯგუფში ყველა უიმედოდ როდი იყო განწყობილი. სულ მალე მას გამოეყო რამდენიმე ველოსიპედისტი, რომლებმაც დაიწყეს ენერგიული მუშაობა დევნილთა სამეულის დასაწევად.

რა მოხდა შემდეგ, ჩვენთვის გაუგებარი დარჩა. ბირიუკოვი, რომელიც ტონს აძლევდა პირველი სამეულის მოქმედებას, მოულოდნელად ჩამორჩა და სულ რამდენიმე წუთის შემდეგ აუტსაიდერთა რიგებში ჩადგა. თბილისელთაგან ლიდერთა ჯგუფში (პირველი და მეორე ჯგუფი სომხეთის ტერიტორიაზე უკვე შეერთდა) მხოლოდ ა. თავაძე იყო. მის გარდა ეტაპზე გამარჯვებისათვის იბრძოდა 6 აზერბაიჯანელი და 3 სომხეთის წარმომადგენელი. ძალთა ასეთი შეფარდებით წარმატებაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო. გაუგებარია ბირიუკოვის საქციელი, რომელმაც ვერ გაიანგარიშა საკუთარი ძალები და საგრძნობლად გაუფუჭა საქმე რბოლის ლიდერს — ვ. სიკორსკის.

ფინიშის სიახლოვეს ლიდერთა ჯგუფი ახალი ენერგიით ამუშავდა. წინ გაიჭრა სომხეთის გუნდის ორი წარმომადგენელი — ტ. ავაქიანი და ს. ოგანესიანი, მაგრამ ზედ ფინიშის ხაზთან მათ საკმაოდ ადვილად გაუსწრო თბილისელმა ა. თავაძემ, რომელმაც მოიგო კიდეც ეტაპი შედეგით 3:53. 19,0.

ამ ეტაპის შემდეგ რესპუბლიკების ჩათვლაში ჩვენი გუნდი აზერბაიჯანთან დაახლოებით საათნახევრით აგებს, სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის წინ გავიდა ერევნის „სპარტაკი", რომელმაც 6 ეტაპის ჯამში საქართველოს „კოლმეურნეს" 5 წუთი მოუგო.

სერიოზული კორექტივები იქნა შეტანილი პირად ჩათვლაშიც. რბოლის სათავეში მოექცა სომხეთის გუნდის წევრი ტ. ავაქიანი, რომლის საერთო დროა 22:25. 42,6. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანელი ვ. ფრანჩუკი — 22:27. 11,0. სიკორსკიმ მესამე ადგილზე გადაინაცვლა — 22:30. 14,0.

* * *

მეშვიდე ეტაპის ტრასა ამ რბოლაში ყველაზე უფრო რთული იყო, რადგან იგი მოიცავდა სემიონოვსკის 18 კილომეტრიან უღელტეხილს. დიდი სიცხის პირობებში (აჯევანიდან ველოსიპედისტები 12 საათზე გამოვიდნენ) მოსალოდნელი იყო, რომ რბოლა ნელი ტემპით დაიწყებოდა. ასეთი პირობა აწყობდა ალბად ყველას, აზერბაიჯანელ ა. მოროზოვის გარდა. პირდაპირ გასაკვირი იყო, როგორ შეძლო მან დაწინაურება და შემდეგ ძნელ პირობებში მაქსიმალური სისწრაფის განვითარება. დიახ, ა. მოროზოვი მარტოდმარტო, უაღრესად რთულ პირობებში მიიწევდა წინ და ართმევდა დანარჩენ მონაწილეებს ძვირფას წუთებს. მოროზოვის აქტიურობამ სხვებიც დააავადა. ძირითად ჯგუფში ამოქმედდა რამდენიმე ველოსიპედისტი და მათ პირველ რიგში ტ. ავაქიანი (სომხეთი), ვ. ხემერგეი (აზერბაიჯანი), ს. ოგანესიანი (სომხეთი) გამოეყო.

ბოლოსდაბოლოს, გამოჩნდა ფინიშიც. ურთულესი გზის 140-ე კილომეტრიც გათავდა. საკონტროლო ხაზი მაყურებელთა მხურვალე ტაშის ქვეშ პირველმა ტ. ავაქიანმა გადაკვეთა. მისი შედეგია — 4.20,45. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ხემერგეი (დრო იგივე) და მესამეზე — მოროზოვი — 4.20,47.

ფინიშთან მეოთხე იყო თბილისელი ე. ბირიუკოვი, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ მას მოყვა ჯგუფი, სადაც ყველაზე წინ ა. თავაძე იყო (იგი მეხუთე ადგილზე გამოვიდა).

ნ. ბუზუზაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

სურათზე: ველომრბოლელები დისტანციაზე.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.

## ჩვენი სპორტის ვეტერანები

# პირველი აბსოლუტური ჩემპიონი



ოთახიდან შოპენის ჰანგები ისმოდა. პიანისტი ისეთი გატაცებით უკრავდა, რომ ხელის შეშლა ვერ გავბედე, ვიდექი და ვუსმენდი. გამოვფხიზლდი, როცა როიალის ხმა შეწყდა...

გამოვემცნაური, სიამოვნებით მიმიღო, მომისმინა. ჩემი მისვლის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში: მოეთხრო ამბავი, თუ როგორ გახდა იგი ოდესღაც საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში. გიორგი რცხილაძე როიალს მოსცილდა და თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც დაიწყო მოყოლა.

1932 წელს ამიერკავკასიის და საქართველოს ფიზკულტურის საბჭოები საკავშირო შეჯიბრებაზე ტანმოვარჯიშეთა გაგზავნას აპირებდნენ და თუ ვინ უნდა გამგზავრებულიყო, ეს ლვაწლმოსილ მწვრთნელს გ. ეგნატაშვილს უნდა გადაეწყვიტა. იგი არც დაფიქრებულა ისე დაასახელა გ. რცხილაძე, გ. ბაბილოძე და ქ. ზაალიშვილი. დაიწყო წვრთნა ბეჯითი და დაძაბული. ტანმოვარჯიშენი თვალებში შეჰყურებდნენ მწვრთნელს, მის ყოველ მითითებას ზუსტად ასრულებდნენ. წვრთნა რომ დამთავრდებოდა, გ. ეგნატაშვილი ესაუბრებოდა აღსაზრდელებს, აცნობდა მომავალ მოწინააღმდეგეებს...

— მოსკოვიდან მიღებული სპეციალური პროგრამა ავითვისეთ. მაშინ ტანვარჯიშის გარდა სავალდებულო პროგრამაში შედიოდა აგრეთვე რბენა 100 მეტრზე, უმბარის ტყორცნა, ბაგირზე ცოცვა და სტიპლ-ჩეზი (რბენა 500 მეტრზე დაბრკოლებებით და მიზანში სროლა). ტანვარჯიშის თვითეულ იარაღზე შეფასების სისტემა 20-ბალიანი იყო, ხოლო სტიპ-ჩეზი — 60-ბალიანი...

როცა მზადება დამთავრდა, სამი ჭაბუკი მოსკოვში გაემგზავრა. იქ ჩასვლისთანავე გამოირკვა, რომ შეჯიბრება ლენინგრადში გადაეტანათ. ფიზკულტურის საკავშირო საბჭოში მათ უკან დაბრუნება ურჩიეს: აბა თქვენ ასტაფიევთან, მოჩალოვთან და სხვებთან რა უნდა გააწყოთო. ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა ყური დაუგდეს ამ რჩევას, შემდეგ ჯიბეები ამოიჩხრიკეს, სამგზავრო და საჭმელი ფული გაანაწილეს და... ლენინგრადისაკენ გასწიეს. ბედმა არც აქ გაუღიმათ — სავალდებულო ვარჯიშები მთლიანად შეეცვალათ, შეჯიბრებამდე კი რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. ამ დროს დახმარების ხელი ქართველ ტანმოვარჯიშეებს გაუწოდეს ი. ვოლფსონმა და ნ. სერიმ.

ჩემპიონატი დიდ ცის ქვეშ მიმდინარეობდა. თვითეულ იარაღზე ვარჯიშისათვის ორი ცდა იყო დაშვებული. ყველაზე საშიში იყო ის, რომ თუ მეორე ცდაზე გამოსული ტანმოვარჯიშე პირველზე ნაკლებ შედეგს უჩვენებდა, პირველი ცდის შედეგი არ ეთვლებოდა და 0 ქულა ეწერებოდა. ამიტომ ვერავინ ბედავდა იარაღთან მეორედ მისვლას...

— ჩვენ არა თუ გამარჯვების, არამედ შედარებით კარგი ადგილის დაკავების იმედიც არ გვქონდა, — იგონებს გ. რცხილაძე.

მაგრამ დაიწყო შეჯიბრება და საქმე სხვაგვარად დატრიალდა. პირველსავე იარაღზე — ძელძე გ. რცხილაძემ მიიღო 19 ქულა. შეფასება საუკეთესო იყო. მეორე ცდის გაკეთება სახიფათოც იყო და ტაქტიკურადაც მიზანშეუწონელი. ძელძე ტაიჭი მოხდევდა. გიორგი რცხილაძე გათამამდა 0 ქულას არ შეუშინდა და პირველ ცდაზე მიღებულ შეფასებას — 19 ქულას, მეორე ცდაზე მიღებული შეფასება — 19,5 ქულა ამჯობინა. ასე გაგრძელდა სხვა იარაღებზეც. ლიდერთა ჯგუფში სამი გვარი ისმოდა მუდამ — გ. რცხილაძე, კ. ასტაფიევი, გ. ბაბილოძე! რბენა, უმბარის ტყორცნა და ბაგირზე ცოცვა წარმატებით იქნა დაძლეული. დარჩა სტიპლ-ჩეზი. ცხელოდა. დაიწყო რბენა 500 მეტრზე დაბრკოლებებით. რცხილაძემ და ბაბილოძემ შესანიშნავად განვლეს მანძილი და მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლისათვის დადგნენ ცეცხლის ხაზზე. გ. ბაბილოძემ შეამჩნია, რომ ერთ-ერთმა მოსკოველმა სროლის წინ სათვალეები გაიკეთა. მან გ. რცხილაძეს გადაუჩურჩულა:

— გულო, აბა ამან როგორ უნდა გვაჯობოს, ცხვირზე ველოსიპედი დაიდო!

სროლაშიც გამარჯვება და... შეჯიბრებაც დამთავრდა... მესამე ადგილზე გამოსულმა გ. ბაბილოძემ თავის მეგობარს — გ. რცხილაძეს საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა მიულოცა... მას შემდეგ იგი კიდევ სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი.

ახლა გ. რცხილაძე თბილისის სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარეა. სიამოვნებით იგონებს იგი გარდასულ ბრძოლებს და იმედის თვალით შეჰყურებს ქართული სპორტის მომავალს.

ჯ. ინწკირველი

სურათზე: გ. რცხილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „ბურევესტნიკის" სტადიონი

## „დინამო" (თბილისი) — „ასტონ ვილა" (ბირმინგამი)

დასაწყისი 18 საათზე.

# „ბ" კლასში

### „ლოკომოტივი" (თბილისი)-„ბანგა" (კაუნასი) — 2:2

მორიგი ტურის მატჩი საკავშირო პირველობაზე თბილისის ლოკომოტიველებმა ჩაატარეს 12 მაისს კაუნასის „ბანგასთან".

ჩვენ უკვე არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თბილისის რკინიგზელთა გუნდი მეტად დაბალ დონეზე ატარებს მატჩებს და შორსა დგას თავისი შარშანდელი ფორმისაგან.

ლოკომოტიველებმა ამჯერადაც ცუდად ითამაშეს. უკიდურესად სუსტი იყო ორივე გარემარბი — იაშვილი და ბურდინი, აგრეთვე ახალკაცი, გაგუა, მიროშნიკოვი და სხვანი. 90 წუთის განმავლობაში არ გათამაშებულა რაიმე ხეირიანი კომბინაცია თავდასხმაში, ხოლო მცველები უსისტემოდ იგერიებდნენ ბურთებს და ხშირად უშვებდნენ შეცდომებს საჯარიმო მოედანზე.

სწორედ ასეთი შეცდომის შედეგად გახსნა ანგარიში პირველი ტაიმის დასასრულს ბილიუნასმა (№ 10) — 1:0.

მეორე ტაიმში თბილისელებმა თითქოს გააუმჯობესეს თამაში, რაც სწრაფად დაეტყო ანგარიშსაც — დავითულიანმა და ცერცვაძემ წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი — 2:1, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ „ლოკომოტივის" რიგები კვლავ აირია, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენეს სტუმრებმა: მარჯვენა შუამარბმა სინიუკოვმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

ა. ლორია

### „რიწა" (სოხუმი)-სკფ (ტალინი) — 3:2

ტალინელებს 4 ჩატარებული მატჩიდან 12 მაისისათვის ჰქონდათ მხოლოდ 1 ქულა, ხოლო სოხუმელებს — 5. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ „რიწა" თავის მინდორზე ადვილად მიაღწევდა გამარჯვებას.

მატჩის დასაწყისი სავსებით შეეფარდებოდა პროგნოზებს. სოხუმელთა თავდასხმა გაიშალა მინდვრის მთელს სიგანეზე.

მე-15 წუთზე სოხუმელებმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს კომბინაცია, საიდანაც ფიფიამ ბურთი მიაწოდა მინჯიას და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში — 1:0. ცოტა ხნის შემდეგ იმავე მინჯიამ კარგად გამოიყენა მეკარის შეცდომა და გაიტანა მეორე ბურთი — 2:0.

შესვენების შემდეგ ტალინის ფეხბურთელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და გუდკინმა (№ 10) შეძლო პირველი საპასუხო ბურთის გატანა — 1:2.

მესამე გოლი სტუმრების კარში გაიტანა გოგავამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან, რასაც ტალინელებმა კვლავ ერთი ბურთით უპასუხეს.

სოხუმის „რიწამ" მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 3:2.

ზ. გვილავა

### „დინამო" (ბათუმი)-რეზ-ი (რიგა) — 1:3

ბათუმის დინამოელებმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა ჩაატარეს თავიანთ მინდორზე, მაგრამ თუ წინა მატჩებში ისინი წარმატებით თამაშობდნენ და გამარჯვებასაც აღწევდნენ, ამჯერად გუნდმა განიცადა მარცხი — 1:3.

პირველ ტაიმში ყველაფერი რიგზე იყო, ბათუმელები აქტიურად თამაშობდნენ თავდასხმაში, ხშირად უტევდნენ მოწინააღმდეგეს და ბურთიც გაიტანეს, მაგრამ ეს გოლი მთლიანად რიგელთა მეკარის კურბატოვის შეცდომას მიეწერება, ვინაიდან, მან [illegible]ერ შეძლო პატარაიას მიერ დარტყმული ბურთის აღება და ფეხებს შუა გაუშვა იგი — 1:0.

შესვენების შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა, დინამოელებმა ძალზე ცუდად ჩაატარეს ეს 45 წუთი და ინიციატივა მთლიანად მოწინააღმდეგეს ჩააბარეს.

22-ე წუთზე ლორიამ (№ 4) მოწინააღმდეგეს ჩააბარა ბურთი, რომელმაც იგი გადასცა მედვედევს (№ 11) და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ერთი წუთის შემდეგ სტუმრებმა კარგად გაითამაშეს კუთხური მოწოდება და მეორე ბურთიც გაიტანეს, ხოლო მატჩის დამთავრების წინ ჯოხაძის (№ 3) შეცდომის შედეგად რიჩენკოვმა (№ 9) ანგარიში სამამდე გაზარდა.

ეს ბათუმის „დინამოს" პირველი დამარცხებაა.

ვ. მოსეშვილი

• • •

**აშხაბადი.** 12 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „კოპეტ-დაგი" და რუსთავის „მეტალურგი".

მატჩი დამთავრდა აშხაბადელთა სასარგებლოდ — 3:0.

**სტალინაბადი.** 12 მაისს აქ თამაშობდნენ ამავე ზონის გუნდები „ენერგეტიკი" (სტალინაბადი)-„ტორპედო" (ქუთაისი).

თამაში მოიგო „ენერგეტიკმა" — 1:0.




## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 14 მაისისათვის

### I ქვეჯგუფში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" მ. | 7 | 6 | 0 | 1 | 11:4 | 12 |
| „ნეფტიანიკი" ბ. | 7 | 3 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| „ლოკომოტ". მ. | 6 | 2 | 4 | 0 | 9:7 | 8 |
| „ავანგარდი" ხ. | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| სკა როსტ. | 6 | 3 | 1 | 2 | 13:7 | 7 |
| „დინამო" თბ. | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| „ადმირალტ". ლ. | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 5 |
| „ტრუდი" ვორ. | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | 5 |
| „დაუგავა" რ. | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 4 |
| „შახტიორი" სტ. | 6 | 0 | 3 | 3 | 4:10 | 3 |
| „სპარტაკი" ვ. | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

### II ქვეჯგუფში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" კ. | 5 | 5 | 0 | 0 | 17:4 | 10 |
| ცსკა | 7 | 4 | 1 | 2 | 18:13 | 9 |
| „კაირატი" ა-ტა | 6 | 3 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| „სპარტაკი" მ. | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 6 |
| „დინამო" მ. | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 6 |
| „პახტაკორი" ტაშ. | 6 | 2 | 2 | 2 | 10:12 | 6 |
| „სპარტაკი" ერ. | 7 | 1 | 4 | 2 | 11:13 | 6 |
| „ზენიტი" ლ. | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | 6 |
| „მოლდოვა" კიშ. | 6 | 2 | 1 | 3 | 13:12 | 5 |
| „კალევი" ტ. | 6 | 0 | 3 | 3 | 6:13 | 3 |
| „ბელარუსი" მნ. | 5 | 0 | 1 | 5 | 4:11 | 1 |

ცხრილში შეტანილი არ არის სტალინოს „შახტიორისა" და ვილნიუსის „სპარტაკის" შეხვედრის შედეგი.

• • •

### I ქვეჯგუფში

„ადმირალტეეცი" (ლენინგრადი)-„ტორპედო" (მოსკოვი)- — 0:1.

„ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„დაუგავა" (რიგა) — 3:2

„ავანგარდი" (ხარკოვი)-„ნეფტიანიკი" (ბაქო) — 0:1

„ტრუდი" (ვორონეჟი)-სკა (როსტოვი) — 2:1

### II ქვეჯგუფში

„ზენიტი" (ლენინგრადი)-„სპარტაკი" (ერევანი) — 0:0

„ბელარუსი" (მინსკი)-„კაირატი" (ალმა-ატა) — 0:1

„კალევი" (ტალინი)-„პახტაკორი" (ტაშკენტი) — 1:1.

ცსკა-„მოლდოვა" (კიშინიოვი) — 6:4

# საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 14 მაისისათვის

### I ქვეჯგუფში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიხარული" მახ. | 6 | 5 | 1 | 0 | 21:7 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. თბ. | 6 | 5 | 1 | 0 | 16:3 | 11 |
| „განთიადი" ბათ. | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 8 |
| „შუქურა" ქობ. | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | 8 |
| „მეშახტე" ტყიბ. | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| სკა თბილისი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 7 |
| „ზახმარო" ჩოხ. | 6 | 3 | 1 | 2 | 9:14 | 7 |
| „მალ". ჭიათ. | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 5 |
| „იმერეთი" ქუთ. | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 5 |
| „სალხინო" გეგეჭ. | 6 | 2 | 1 | 3 | 8:12 | 5 |
| „კოლხიდა" ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 4 |
| „კოლმ". თელავი | 6 | 0 | 3 | 3 | 8:17 | 3 |
| „დინამო" სოხ. | 6 | 0 | 1 | 5 | 7:16 | 1 |
| „მექ". ადიგენი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:15 | 1 |

### II ქვეჯგუფში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" ლანჩხ. | 6 | 6 | 0 | 0 | 22:7 | 12 |
| „ლოკ". სამტრ. | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 8 |
| „სპარტ". სტ. | 6 | 4 | 0 | 2 | 9:9 | 8 |
| „განთ". ცხაკაია | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| „ოდიში" ზუგ. | 6 | 3 | 0 | 3 | 14:12 | 6 |
| „სპარტაკი" თბ. | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | 6 |
| „დურუჯი" ყვარ. | 6 | 3 | 0 | 2 | 11:14 | 6 |
| „ფეიქარი" წულ. | 6 | 3 | 0 | 3 | 10:16 | 6 |
| „მესხეთი" ახალც. | 6 | 2 | 1 | 3 | 11:10 | 5 |
| „დილა" გორი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 5 |
| „მშენებელი" ქუთ. | 6 | 1 | 3 | 2 | 6:9 | 5 |
| „ისანი" თბ. | 6 | 2 | 0 | 4 | 13:13 | 4 |
| „მეზღ". ფოთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 4 |
| „სპარტ". რუსთ. | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | 2 |




შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებს შორის.

გერმანელებმა შეძლეს თამაშის მოგება ანგარიშით 2:1 და ახლა ქულათა მაქსიმუმით (6) ლიდერობენ გათამაშებას IV ჯგუფში. მათ ფინალში მოხვედრის დიდი შანსები აქვთ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა ვენის „რაპიდისა" და ლისაბონის „ბენფიკას" მატჩის ინციდენტი. როგორც ცნობილია, ეს თამაში ჩაშლილი იქნა 89-ე წუთზე.

ორგკომიტეტმა მატჩის შედეგი — 1:1 დაამტკიცა. ამრიგად, ფინალში ითამაშებენ „ბარსელონა" (ესპანეთი) — „ბენფიკა" (პორტუგალია).

• • •

ლონდონში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მექსიკისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის. ინგლისელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 8:0.

• • •

შედგა საფრანგეთის თასის ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „ნიმი" და „სედანი", გაიმარჯვა „სედანმა" — 3:1.

## პოლონელები აჯობებენ „გრემიოს"

ბულგარეთში გამოსვლის შემდეგ ბრაზილიის გუნდი „გრემიო" ეწვია პოლონეთს. აქ იგი შეხვდა ეროვნულ ნაკრებს, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებთან სათამაშოდ ემზადება. ამჯერად ბრაზილიელებმა განიცადეს მარცხი. პოლონელთა თავდასხმა არ მოსცილებია სტუმართა საჯარიმო მოედანს. საუცხოოდ ითამაშა ბრაზილიელთა მეკარე ჰენრიკემ, მაგრამ ორჯერ იძულებული გახდა გამოეტანა ბურთი ბადიდან.

ბევრად უფრო შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა „გრემიოს" შეხვედრას ქ. კრაკოვის ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## კოპას გუნდის კატასტროფა

ასე გამოეხმაურნენ სპორტული მიმომხილველები საფრანგეთის „რეიმსისა" და ესპანეთის ჩემპიონ „რეალის" მატჩს, რომელიც ქ. რეიმსში გაიმართა.

მატჩი სრულიად მოულოდნელად დაიწყო. ხუთიოდე წუთის შემდეგ ანგარიში იყო 2:0 ესპანელთა სასარგებლოდ. მეორე ტაიმში ფრანგები იძულებულნი იყვნენ კიდევ სამი ბურთი გამოეტანათ თავიანთი კარიდან. „რეიმსმა", რომლის შემადგენლობაში საფრანგეთის ნაკრების 7 წევრი თამაშობდა, განიცადა არნახული დამარცხება—0:5. ასეთი მარცხის მიზეზია ის, რომ „რეიმსმა" ამჯერად ხელი აიღო მისთვის დამახასიათებელ შემტევ სტილზე და აშკარად დაცვითი ვარიანტი აირჩია.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით, რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-69-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03930